ნათია ჭელიძე

საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაცია

თბილისი
2000

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნათია ჭელიძე

საქართველოს მოსახლეობის
შრომითი ემიგრაცია

თბილისი
2000

მსოფლიო შრომითი მიგრაციების ფონზე გამოკვლეულია საქართველოდან საზღვარგარეთ საშოვარზე წასული მოსახლეობის სოციალურ-დემოგრაფიული სტრუქტურა, პროფესიული შემადგენლობა, ადგილზე სოციალური და კლიმატური ადაპტაციის პირობები, შესწავლილია შრომითი ემიგრაციის როლი ცალკეული ოჯახებისა და მთლიანად ქვეყნის მძიმე სოციალური ვითარების დაძლევაში. შეფასებულია შრომითი ემიგრაციის გავლენა საქართველოს შრომით პოტენციალზე, მოსახლეობის შემოსავლებსა და დემოგრაფიულ ვითარებაზე.

განკუთვნილია სპეციალისტებისა და პრობლემით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რედაქტორი: *პროფესორი მირიან ტუხაშვილი*

რეცენზენტები: *პროფესორი მურმან ტურავა*
დოცენტი ჰენრი ყარაშვილი

© თსუ «ცოდნის წყარო» - 2000 წელი
შეკვ. № 978-99940-968-0-0 , ტირაჟი 300.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა.
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.

რედაქტორის წინასიტყვაობა

საქართველოში შრომით ემიგრაციაზე პოპულარული და მტკივნეული საკითხი არცთუ ბევრია. 90-იანი წლების საყოველთაო კრიზისმა, რომელმაც მოიცვა პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა და ა.შ., რადიკალურად შეცვალა ქვეყნის მოსახლეობის ტერიტორიული მობილობა. მყისიერად გაზრდილ მუდმივ ემიგრაციასთან ერთად არნახულად გადიდდა შრომითი ემიგრაციის, საშოვარზე წასვლის მასშტაბები. ეკონომიკური კოლაფსის პირობებში შრომითი ემიგრაცია გახდა საქართველოს მოსახლეობის ფიზიკური არსებობის შენარჩუნების ერთ-ერთი გზა. იმავდროულად, შრომითმა ემიგრაციამ გაამძაფრა ისედაც დამძიმებული სოციალური ყოფა, რაც, პირველყოვლისა, დაკავშირებულია ოჯახს, ახლობლებსა და სამშობლოს მოშორებასთან, პროფესიისა და კვალიფიკაციის შეუსაბამო დასაქმებასთან, უკიდურესად დისკრიმინაციულ შრომის ანაზღაურებასთან, ხშირად კი – არალეგალური ემიგრაციის გაუთვალისწინებელ სიძნელეებთან.

სამეცნიერო წრეების და ხელისუფლების წინაშე არაერთხელ დავაყენეთ საკითხი პრობლემის მეცნიერული შესწავლის თაობაზე, მაგრამ დიდი შრომატევადობისა და მეთოდური სირთულეების გამო დღემდე ვერ მოხერხდა რამდენადმე ინფორმაციატევადი და მეცნიერულად განზოგადებული გამოკვლევის განხორციელება.

სასიხარულოა, რომ საქართველოს უმწვავესი პრობლემით დაინტერესდა ახალგაზრდობა, სტუდენტობა, რისი შედეგიცაა წინამდებარე ნაშრომი. ავტორი სამი წელი მუშაობდა აღნიშნულ საკითხზე. გამოუცდელობის მიუხედავად, მისმა ენთუზიაზმმა, შრომისმოყვარეობამ და ჭეშმარიტმა პატრიოტიზმმა შეაძლებინა მეტად სასარგებლო გამოკვლევის შესრულება.

ბუნებრივია, ნ. ჭელიძის ეს ნაშრომი ჯერ კიდევ მრავალ კითხვას ტოვებს უპასუხოდ, მაგრამ ის, რაც გაკეთებულია, წახალისების ღირსია და იმ იმედის მომცემიც, რომ გამოჩნდა შრომითი ემიგრაციის პრობლემებით დაინტერესებული ახალგაზრდა ნიჭიერი მკვლევარი.

შრომითი ემიგრაცია – გლობალური მოვლენა

შრომითი ემიგრაცია ახალი მოვლენა არაა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ იგი ინტენსიურად განვითარდა და თავისი სოციალური შედეგებით მეცნიერთა და მთელი მსოფლიო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. დაიწყო არა მარტო მისი მეცნიერული შესწავლა, არამედ შრომითი ემიგრაციის მრავალი სოციალური პრობლემა აისახა მხატვრულ ლიტერატურაში, კინოსა და პრესაში. ამ მხრივ უნდა გამოიყოს სამხრეთ ევროპელთა შრომითი ემიგრაცია დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში. მაგ. ომისშემდგომი დასავლეთ გერმანიის სწრაფმა ეკონომიკურმა განვითარებამ დიდი რაოდენობის ახალი სამუშაო ადგილი წარმოქმნა ამ ქვეყანაში, რაც უფრო სუსტად განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის მიზიდულობის კერად გადაიქცა. ცნობილმა ესპანელმა მწერალმა ანხელ მარია დე ლერამ თავის რომანში ‘მიწის ძახილი» შესანიშნავად დაგვიხატა 60-იანი წლების ესპანეთის ერთ-ერთი პროვინციის ყოფა და შრომითი ემიგრაციის დადებით მომენტებთან ერთად მისი ტრაგიკული მხარეებიც წარმოაჩინა.[1]

შრომითმა ემიგრაციამ არა მარტო ევროპის სამხრეთი ქვეყნები (პორტუგალია, ესპანეთი, იტალია, იუგოსლავია, საბერძნეთი), არამედ ხმელთაშუა ზღვის აუზის სახელმწიფოებიც მოიცვა (თურქეთი, ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნები). 1964 წლისთვის გერმანიაში უკვე 1 მლნ. მუშა იყო ჩასული.[2] ასეთ დიდ მასშტაბებს ხელი შეუწყო არა მარტო გერმანიაში სამუშაო ძალის დეფიციტის გაჩენამ სწრაფი ეკონომიკური ზრდის გამო (ყოველწლიურად დაახლოებით 10%), არამედ ემიგრირების სტიმულებმა, ორგანიზაციულმა მოხერხებულობამ, რასაც მაშინდელი გერმანიისა და სხვა სახელმწიფოების ხელისუფლება ახორციელებდა. შრომითი ემიგრაციის მრავალი წინაპირობა წარმოქმნა ევროპაში “საერთო ბაზრის» - ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შექმნამაც (1957), რომელიც მრავალმხრივ ინტეგრაციულ პროცესებს შორის მიზნად ისახავდა «პიროვნებათა, კაპიტალისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილების ხელშემშლელ გარემოებათა მოსპობას.»[3] თანდათან სულ უფრო მეტ გაქანებას იძენს ადამიანთა უფლებების დაცვა, მათ შორის უცხოელებისაც, რომლებსაც ამა თუ იმ ქვეყანაში საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევით გაეზარდათ უფლებები, მათ შორის მუშაობისა, სოციალური დაცვისა და რიგი პრივილეგიებით სარგებლობისა. ამას დაემატა ტრანსპორტში მომხდარი დიდი ძვრებიც, როცა ადამიანს შეუძლია რამდენიმე საათში დაფაროს მანძილი თვით მეტად დაშორებულ ქვეყნებს შორისაც. 1980-იან წლებში მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობაში უკვე 21 მლნ. შრომითი იმიგრანტი ითვლებოდა.[4] 1996 წლისათვის ევროპის ქვეყნებში 21,2 მლნ. ემიგრანტიდან დიდი ნაწილი შრომითი იმიგრანტია, მათ შორის გერმანიაში ცხოვრობს 7 მლნ. (მოსახლეობის 8,5%), იტალიაში – 1 მლნ. (1,8%), ლუქსემბურგში – 0,127 მლნ. (31,1%), ავსტრიაში – 0,7 მლნ. (8,6%), ბელგიაში – 0,92 მლნ. (9,1%).[5] მეტად დიდი ხვედრითი წონა აქვთ შრომით იმიგრანტებს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. 1995 წლის მონაცემებით კუვეიტელები თავიანთ ქვეყანაში დასაქმებულთა მხოლოდ 20%-ს შეადგენენ.[6] 1990 წლის პოლიტიკური

---

[1] ანხელ მარია დე ლერა. მიწის ძახილი. მერანი. 1983.

[2] თ. ზუბიაშვილი. თანამედროვე საერთაშორისო მიგრაცია. თბ., თსუ. 1999. გვ.15.

[3] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი 4. გვ. 42-43.

[4] Денисенко М.Б., Ионцев В.А., Хорев Б.С. Миграциология. М., МГУ. 1989.

[5] თ. ზუბიაშვილი. თანამედროვე საერთაშორისო მიგრაცია. თბ., თსუ. 1999. გვ.14.

[6] იქვე, გვ.21.

მოვლენების გამო კუვეიტი ნაწილობრივ მიატოვეს იმიგრანტებმა, სადაც ამ ომამდე მოსახლეობის 59% უცხოელი იყო[7], ომისშემდგომ მათი წილი თანდათან აღდგა და 1995 წლისათვის უკვე 60%-ს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში მუშათა 90% უცხოელია.[8] მთლიანად კი ომისშემდგომ პერიოდში (1992 წ.) სპარსეთის ყურის ქვეყნებში 4 მლნ. იმიგრანტი მუშაობდა.[9]

შრომითი მიგრაცია საკმაოდ ინტენსიური ხდება აზიის შედარებით განვითარებულ ქვეყნებში, როგორიცაა იაპონია, სამხრეთ კორეა, ჰონკონგი, ტაივანი, სინგაპური, მალაიზია და ტაილანდი, სადაც ეკონომიკის განვითარების აშკარად მაღალი დონეა მეზობელ ქვეყნებთან შედარებით. აქ მთლიანი შიგა პროდუქტი ერთ სულზე 2870 აშშ დოლარიდან (ტაილანდი) 40800 დოლარამდე (იაპონია) ვარირებს, მაშინ როცა ემიგრაციის ქვეყნებში: ჩინეთში, ინდონეზიასა და ფილიპინებში იგი შესაბამისად 580, 1020 და 1080 დოლარს უტოლდება.[10]

როგორც საერთოდ მსოფლიოში, განსაკუთრებით აზიის ზემოაღნიშნულ რეციპიენტ ქვეყნებში აღსანიშნავია შრომით მიგრანტთა ნაკადებში ქალების მზარდი წილი. მაგალითად, აზიის ქვეყნებში ფილიპინელ მიგრანტებში ქალები 12-ჯერ მეტნი არიან მამაკაცებზე, ინდონეზიელებში – 3-ჯერ, შრილანკელებში ეს შეფარდებაა 3:2 ქალების სასარგებლოდ. ისინი როგორც კანონიერი, ისე უკანონო გზებით მიედინებიან იაპონიის, სინგაპურის, ჰონკონგისა და დასავლეთ ევროპისაკენ. მუშაობენ მოახლეებად, მომვლელებად, დამხმარე მუშებად მაღაზიასა და რესტო ნებში, გასართობ ინდუსტრიაში, ზოგი პროსტიტუციასაც მისდევს.[11] ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ აზიისა და აღმოსავლეთ აზიის თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში მთელი სამუშაო ძალის 80% ქალია (იაფი სამუშაო ძალა), მათგან საკმაოდ დიდი ნაწილია შრომითი იმიგრანტი.[12]

სამხრეთ კორეამ, რომელიც რაღაც ორი ათეული წლის წინ მსოფლიო მასშტაბის სამუშაო ძალის ექსპორტიორად ითვლებოდა და ამით სახელმწიფოში პირდაპირი შემოსავლების სახით საზღვარგარეთ მყოფი მუშებისაგან 2 მლრდ. დოლარს იღებდა,[13] თანდათან თავისი ეკონომიკის სწრაფი განვითარების წყალობით პრაქტიკულად მინიმუმამდე შეამცირა შრომითი ემიგრაცია და სამუშაო ძალის იმპორტიორი გახდა.[14]

მსოფლიო მასშტაბის ახალი ემიგრაციული ტალღა წარმოქმნა სსრკ დაშლამ და, საერთოდ, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მიმდინარე ინტენსიურმა ტრანსფორმაციულმა პროცესებმა. განვითარებულ ეკონომიკურ კრიზისს ბუნებრივად მოჰყვა დიფერენციაციის გაღრმავება ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეებსა და მოსახლეობის ცხოვრების პირობებში. ეს უფრო მეტად დაეტყო იმ ქვეყნებს, სადაც აღმოცენდა ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები (პოსტკომუნისტური იუგოსლავია, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ტაჯიკეთი და ა.შ.). 1995 წელს 1989 წელთან შედარებით რუსეთში ერთობლივი შიგა პროდუქტი ერთ სულზე 4070 აშშ დოლარიდან 2240 დოლარამდე შემცირდა, უკრაინაში – 2610 დოლარიდან 1630 დოლარამდე, აზერბაიჯანში – 1460 დოლარიდან 480 დოლარამდე, ტაჯიკეთში – 910 დოლარიდან 340 დოლარამდე, საქართველოში – 2530 დოლარიდან 440 დოლარამდე, სომხეთში – 2260 დოლარიდან 730 დოლარამდე. 1995 წლისათვის რუსეთში ერთ მცხოვრებზე აწარმოებს მშპ უკრაინასთან

---

[7] მ. ტუხაშვილი. საქართველოს შრომითი პოტენციალი. თბ. 1998. გვ.114.

[8] International Migration Today. UNESCO. 1988. Volume2. p. 256.

[9] თ. ზუბიაშვილი. თანამედროვე საერთაშორისო მიგრაცია. თბ. თსუ. 1999. გვ.17.

[10] World Population. United Nations Population Fund. 1997. p. 70-71.

[11] Трудовой мир. Издание МОТ. 1995. №2. с.2

[12] იქვე. გვ. 2.

[13] Ушкалов И.Г., Ионцев С.И. Эмиграция. Взгляд с Востока и Запада. М., Знание. 1991. с.5

[14] თ. ზუბიაშვილი. თანამედროვე საერთაშორისო მიგრაცია. თბ. თსუ. 1999. გვ18.

შედარებით 1,4-ჯერ მეტი, აზერბაიჯანთან შედარებით 4,7-ჯერ მეტი, ტაჯიკეთთან – 6,6-ჯერ მეტი, საქართველოსთან – 5,1-ჯერ მეტი, ხოლო სომხეთთან – 3,1-ჯერ მეტი.[15] ამიტომ სავსებით ბუნებრივია ახლადწარმოქმნილ ქვეყნებს შორის ინტენსიური შრომითი მიგრაციის წარმოშობა. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ შრომითი ემიგრაცია დსთ ქვეყნებში არ განიცდის ისეთ შეზღუდვებს, როგორც სხვა ქვეყნებისაკენ მიმართული. არსებობს ამ მხრივ სპეციალური ხელშეკრულება, ენის ბარიერი პრაქტიკულად არ არსებობს, ამავე დროს შემორჩენილია ნაცნობ-მეგობრული, ნათესაური კავშირები, უფრო იაფია მგზავრობა და ა.შ. ამიტომაც რუსეთს კრიზისის პირველივე წლებში შრომით ემიგრანტთა დიდი მასა მიაწყდა. ეს მაშინ, როცა თვით რუსეთში მისი ცენტრალური ნაწილისაკენ დაიძრა ჩრდილოეთიდან და შორეულ აღმოსავლეთიდან მიგრანტთა დიდი ნაკადები.[16] აქ გაიზარდა შრომით ემიგრანტთა რიცხოვნობა, რომელიც მიმართულია დასავლეთის ქვეყნებისაკენ.

სავსებით ბუნებრივია დასავლეთის სახელმწიფოთა შეშფოთება და რეაქცია მიგრაციის გაზრდილ მასშტაბებზე და მათი ქვეყნებისათვის მის უარყოფით შედეგებზე. ამიტომ ისინი ცდილობენ, ერთი მხრივ, ანგარიში კი გაუწიონ ადამიანის უფლებათა დაცვას, მაგრამ, მეორე მხრივ, თავიდან აიცილონ ინტენსიური იმიგრაციის ნეგატიური ზეგავლენა, განსაკუთრებით არალეგალური იმიგრაციისა. აშშ აღწერის ბიუროს შეფასებით ამჟამად ქვეყანაში ცხოვრობს 4 მლნ. არალეგალური იმიგრანტი.[17] ზოგი წყაროს მიხედვით იგი 5 მლნ. უდრის. ექსპერტთა შეფასებით, აშშ-ში ყოველწლიური არალეგალური იმიგრაცია 300 ათასს შეადგენს, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ნაწილი შრომითი იმიგრანტია.[18] ამიტომაც მიგრანტთა რეციპიენტი ქვეყნები თანდათან ამკაცრებენ და სრულყოფენ იმიგრაციულ პოლიტიკას. აშშ-ში ეს პოლიტიკა ხორციელდება 1875 წლიდან. 1921 წლიდან მთავრობამ დააწესა ყოველწლიური რაოდენობრივი ლიმიტი. 1924, 1952, 1965 და 1968 წლების ქვოტების განსაზღვრაში შეიტანეს კორექტივები. ამჟამად აშშ-ში იმიგრაციული ქვოტა ითვალისწინებს 700 ათასი იმიგრანტის ლეგალურ შესვლას, რომელთაგან უპირატესობა ეძლევათ:

– აშშ მოქალაქეების დაუქორწინებელ ვაჟებსა და ქალიშვილებს;

– მეუღლეებს და დაუქორწინებელ ვაჟებსა და ქალიშვილებს, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომელთაც აქვთ აშშ-ში მუდმივ ცხოვრებაზე ნებართვა.

– იმ პროფესიის მფლობელ პირებს, რომლებზეც აშშ-ში მოცემულ მომენტში არის მოთხოვნილება, ასევე უცხოელებს, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან განსაკუთრებული ნიჭით.

– მუშებს, რომლებიც სჭირდება ამერიკას იმ სამუშაოთათვის, რომელთაც არა აქვთ დროებითი ან სეზონური ხასიათი.

აღსანიშნავია, რომ 1995 წელს აშშ-ში 95 ათასი პირი შევიდა ლეგალურად შრომითი მოწყობისათვის. მათ შორის 10 ათასი მაღალკვალიფიციური ინჟინერი იყო.[19]

ბევრ ქვეყანაში თანდათან იზრდება იმიგრაციისადმი უკმაყოფილება. გერმანიაში გახშირდა თავდასხმები უცხოელ მოქალაქეთა ოჯახებზე.[20] ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს გაზეთ "ალიადან» პუბლიკაციის ერთი ამონარიდის მოტანაც: "საზღვარგარეთ ბედის საძებრად წასული ქართველები, უმეტესად, ირონიას აწყდებიან, იტანჯებიან და

[15] Нищета переходного периода. Региональное Бюро по Странам Европы и СНГ. 1998. с.236.

[16] Пивоворов Ю.Л. Восток-Запад: Новые горизонты. Ж. Миграция. М., 1997, №3. с.34-35.

[17] Лебедева Л.Ф. Кого ждут в Америке? //Миграция. 1997, №4. с.22.

[18] თ. ზუბიაშვილი. თანამედროვე საერთაშორისო მიგრაცია. თბ. თსუ. 1999. გვ.11.

[19] Лебедева Л.Ф. Кого ждут в Америке? //Миграция. 1997, №4. с.22

[20] თ. ზუბიაშვილი. თანამედროვე საერთაშორისო მიგრაცია. თბ. თსუ. 1999. გვ.11.

ლუკმა პურის საშოვნელად ყველაფერზე მიდიან... დაბრუნების შემდეგ კი სირცხვილი და შელახული თავმოყვარეობის გრძნობა არ შორდებათ. ჩვენი რესპონდენტი გერმანიაში გატარებულ ცხოვრებაზე გვესაუბრება...

– იქ ყველა იმედებით ჩამოდიოდა, რომ რაღაცას გაიუმჯობესებდნენ... ერთი კვირა რომ იმ ნისლში და სიცივეში სველი ბოტასებით ივლი და სამსახურს იშოვი, მერე კი ვიღაც ჩაგიშვებს, როგორც არალეგალს და გამოგაგდებენ, იმედის გამართლებაა?...

– გერმანიაში როგორ გიყურებდნენ? – ვერ გვიტანდნენ, ლტოლვილები ანუ იქაურად "აზულები» მათხოვრებად ითვლებიან, ერთხელ "მარკეტში» ახალგაზრდა ქალი დამეჯახა და რომ შემხედა, მხარი ზიზღით ჩამოიბერტყა»...[21]

საფრანგეთში ბევრი პოლიტიკური პარტიის პლატფორმა ითვალისწინებს იმიგრაციის მკაცრ შეზღუდვებს. მაგალითისათვის მოვიტანოთ საფრანგეთის ეროვნული ფრონტის ლიდერის ლე-პენის ინტერვიუ, სადაც იგი აღნიშნავს: "აი უკვე 30 წელია, ოფიციალური აკრძალვის მიუხედავად საფრანგეთის მთავრობა უშვებს უზარმაზარ იმიგრაციას. იგი ერს ასუსტებს... ევროპელები განიცდიან ისეთ საშიშ მოვლენას, როგორიცაა შობადობის შემცირება. იმავდროულად მესამე მსოფლიოს ქვეყნებში მოსახლეობა დემოგრაფიული აფეთქების სტადიაშია. იქიდან ძლიერდება ხალხის ნაკადი ევროპისაკენ. შედეგად იზრდება სოციალური ხარჯები. წლიურად იგი უკვე 300 მლრდ. ფრანკს შეადგენს.

ეროვნული ფრონტის ფილოსოფიური საფუძველია ის, რომ ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ ჩვენს ერს. ვთვლით, რომ ყოველ ქვეყანაში არის ბუნებრივი პრიორიტეტი საკუთარი მოსახლეობის სასარგებლოდ.»[22] უკვე საკმაო ხანია, რაც გერმანიის მთავრობა მიმართავს იმიგრანტთა რეპატრიაციის ღონისძიებებს. მაგალითად, 1984 წელს 300 ათასი უცხოელი დათანხმდა დასავლეთ გერმანიიდან ნებაყოფლობით რეპატრიაციას, მაგრამ იგი გერმანიას 600 მლნ. დოლარი დაუჯდა.[23] ამიტომ გერმანიაც, რომელიც ომისშემდგომ ასტიმულირებდა შრომით იმიგრაციას, ამჟამად საკმაოდ ზღუდავს მას. 1993 წლიდან ახალი შეზღუდვები დაიწყო ბელგიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, პორტუგალიასა და დიდ ბრიტანეთში, ხოლო 1994 წელს დანიაში, იტალიასა და ავსტრიაში, 1995 წ. კი - ნიდერლანდებში.[24]

ასეთ ვითარებაში საქართველოდან დასავლეთის ქვეყნებისაკენ შრომითი ემიგრაციული პროცესები უმთავრესად არალეგალური ხასიათისაა და მისი განხორციელება მთელ რიგ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ხშირია ტურისტული, სწავლის გაგრძელების მიზნით, ლტოლვილობით მოტივირებული გამგზავრება და არცთუ იშვიათად ბედის ანაბარა სხვა ქვეყანაში მოხვედრა.

---

[21] ქართველები გერმანელ პოლიციას აგიჟებენ». //ალია №25(824). 15.02.2000.

[22] Аргументы и факты. №21. 1998.

[23] მ. ტუხაშვილი. საქართველოს შრომითი პოტენციალი. თბ. 1998. გვ. 114.

[24] Иванова Т. Иммиграция в Россию из-за пределов бывшего СССР. М., 1997. с.21.

არსებული სტატისტიკა და გამოკვლევები

სამწუხაროა, რომ დღესდღეობით საქართველოს სტატისტიკური ორგანოები რეგულარულად ვერ აღრიცხავენ მიგრაციულ პროცესებს და, მათ შორის, შრომით ემიგრაციასაც. ამას ობიექტური მიზეზები აქვს. არსებობს ექსპერტთა შეფასებანი და ცალკეული ვარაუდები შრომით ემიგრანტთა რიცხოვნობის შესახებ. ზოგი მათგანი, ნაწილობრივ, სტატისტიკაში ცნობილ მეთოდებს ეყრდნობა, ხოლო ზოგიც - ფანტაზიის ნაყოფია, თუმცა არის შრომითი ემიგრაციის რაოდენობრივი მაჩვენებლის დადგენის რამდენიმე ხერხი.

სტატისტიკური ორგანოების მიერ შინამეურნეობების გამოკვლევის მასალებიდან ჩანს დროებით წასულთა რაოდენობა 1998 წლისათვის. ამ მასალის მიხედვით სხვა ქვეყანაში წასულია 48,7 ათასი კაცი.[25]

1998 წლის სექტემბერ-ნოემბერში TACIS-ის პროგრამით და დაფინანსებით საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დემოგრაფიული სტატისტიკის სამმართველომ ჩაატარა შერჩევითი გამოკვლევა საქართველოში მიგრაციული პროცესების შესწავლის მიზნით. გამოკვლევა ჩატარდა საქართველოდან გამავალ მნიშვნელოვან სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში, აეროპორტებში. გამოიკითხა 3646 პირი. მგზავრთა შორის პროფესიით დასაქმების მიზნით გადიოდა მხოლოდ 14,4%, მაგრამ დიდია ფარულ შრომით ემიგრანტთა წილი დროებით საცხოვრებლად (6,4%), სამკურნალოდ (5,6%), სასწავლებლად (4,3%), სტუმრად (22,1%) წასულთა შორის. თუმცა თუ ჩავთვლით, რომ სტუმრად ასევე ბევრი შემოდის (23,5%) შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გასვლისა და შემოსვლის სალდოში შრომითი ემიგრანტები შეადგენენ 20-25%-ს.

სასაზღვრო გამშვები პუნქტების აღრიცხვის მიხედვით სტატისტიკური ორგანოები წლიურად ანგარიშობენ 40-50 ათას კაცს, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზით დატოვეს საქართველო.[26] აქედან დიდი ნაწილი მუდმივი ემიგრანტია. გადაანგარიშებით გამოდის, რომ 1998 წელს საქართველოდან შრომითი ემიგრაციის სალდოს მიემატა 10-15 ათასი ემიგრანტი. თუ პირობითად ამას გასულ 8 წელზე (1992-1999) ვიანგარიშებთ, იგი 80-120 ათასი კაცი იქნება. ბუნებრივია, შრომითი ემიგრაცია სხვადასხვა წლებში სხვადასხვა ინტენსივობით მიმდინარეობდა, მაგალითად, 1993 წელს ლტოლვილთა დიდი მასა მიაწყდა რუსეთს, შემდგომშიც იყო შრომითი ემიგრაციის უთანაბრო განვითარება, მაგრამ აქ მაინც მსჯელობა 2-3 ასეულ ათას შრომით ემიგრანტზე შეიძლება იყოს და არა მილიონზე, როგორც ეს პრესაში გვხვდება.

პროფესორი რ. გაჩეჩილაძე საკმაოდ დამაჯერებლად მსჯელობს საქართველოდან 250-280 ათას შრომით ემიგრანტზე, რომელიც გავიდა 1990-1996 წლებში: "ფაქტობრივად, მეტი შეიძლება ვერც მოინახოს საქართველოში ადამიანი, რომელიც ენობრივად იქნება მომზადებული . . . რაიმე ხელობაც ეცოდინება და შრომითი მიგრაციის რისკზე წასვლასაც არ მოერიდება.»[27] ზემოაღნიშნულ რაოდენობაში შედის როგორც ქართველი, ისე არაქართველი მოსახლეობაც. ეს უკანასკნელი უფრო ინტენსივობით ემიგრირდა საქართველოდან. მოსახლეობის მიგრაციული მოძრაობის გამოკვლევა "პილოტაჟური»

---

[25] ქალი და კაცი საქართველოში. სტატისტიკური კრებული. თბ. 1999. გვ.47.

[26] მიგრაციის სტატისტიკა. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. ევროგაერთიანების სტატისტიკური სამსახური. თბ. 1999.

[27] რ. გაჩეჩილაძე. მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. თბ., 1997. გვ.35.

დაკვირვებით, რომელიც პროფ. რ. გაჩეჩილაძემ ჩაატარა 1990-1997 წ.წ. 201 კომლზე (916 პირი), თითქმის ადასტურებს მის მიერ სხვა გზით მიღებულ სავარაუდო გამოთვლებს.[28]

დაწვრილებით ეხება შრომითი ემიგრაციის პრობლემებს პროფ. თ. გუგუშვილი. იგი ვარაუდობს სხვა ავტორებისაგან (რ. გაჩეჩილაძე, გ. წულაძე, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი) განსხვავებულ ციფრს და მიაჩნია, რომ 1990-1997 წლების რვა წლიან პერიოდში საქართველო დატოვა 820 ათასმა კაცმა, მათგან 400 ათასი 6 თვეზე მეტი ხნითაა წასული. შემდგომ, როცა იგი ეხება ფულად გზავნილებს საქართველოში, მაშინაც 400 ათას შრომით ემიგრანტს ვარაუდობს.[29]

არის კიდევ სხვა საყურადღებო ვარაუდებიც, რომელთაც აქ ვეღარ შევეხებით. ფაქტია, რომ შრომითი ემიგრაცია დღევანდელი საქართველოს უმნიშვნელოვანესი სიციალური პრობლემაა, რომელიც უფრო მეტ აღრიცხვასა და შესწავლას მოითხოვს, ვიდრე იგი სინამდვილეშია.

[28] იქვე. გვ.54-55.

[29] თ. გუგუშვილი. საქართველოს გარე მიგრაციულ-დემოგრაფიული პრობლემები. თბ., 1998. გვ.52-53.

გამოკვლევის ორგანიზაციის შესახებ

ჩვენი კონკრეტული გამოკვლევის მიზანი შრომით ემიგრანტთა რაოდენობის დადგენა არ ყოფილა, თუმცა საკვლევ სოფლებში, ქალაქის უბნებსა და კორპუსებში შრომით ემიგრანტებს უფრო ნაკლები სიხშირით ვხვდებოდით, ვიდრე მრავალი ავტორი ვარაუდობს.

ჩვენი ამოცანა იყო შრომით ემიგრანტთა შესახებ სოციალურ-დემოგრაფიული ხასიათის ინფორმაციის მიღება მათი ოჯახის წევრებისა და სხვა ახლობლების გამოკითხვის (ინტერვიუს) გზით, რომლებიც დეტალურად იყვნენ ინფორმირებულნი და შემუშავებულ 26 კითხვიდან ანკეტის ყველა კითხვაზე შეეძლოთ პასუხის გაცემა.[30] კითხვების შევსების გარდა მათთან საუბრით ხშირად ვადგენდით და ვინიშნავდით უფრო დაწვრილებით მონაცემებს, რომლებიც გვეხმარებოდნენ შრომითი ემიგრაციის თავისებურებათა გათვალისწინებაში.

კითხვარი მოიცავდა 26 კითხვას ემიგრანტთა დემოგრაფიული შემადგენლობის, შრომითი ემიგრაციის მიზეზების, მიმართულებების, ადგილზე სოციალურ-შრომითი და კლიმატური ადაპტაციის, საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების, სამუშაოს ხასიათის, ოჯახთან კავშირისა და მისვლა-მოსვლის პირობების, მომავალი გეგმების, სამშობლოში დაბრუნების პირობების, საქართველოში მათი ოჯახების ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის, გზავნილების ოდენობისა და ა.შ. შესახებ.

ჩვენი შეზღუდული შესაძლებლობების გამო შევძელით მხოლოდ თბილისისა და ამბროლაურის რაიონის შრომითი ემიგრაციის გამოკვლევა. თბილისში შევარჩიეთ ხუთი უბანი, რომლებიც განლაგებული იყო "პრესტიჟულ», "პერიფერიულ» და «საშუალედო» რაიონებში (ვაკე, საბურთალო, გლდანი, ვარკეთილი-3 და ნაძალადევი). ვვარაუდობდით, რომ თბილისის სხვადასხვა რაიონში მოსახლეობის სოციალურ-დემოგრაფიული და პროფესიული სტრუქტურა განსხვავებულ ემიგრაციულ პოტენციალებს ქმნიდა და უკეთ აისახებოდა მთელ თბილისში შექმნილი სოციალური ვითარება.

გამოკითხვა მოხდა ამბროლაურის რაიონში 1999 წლის ივლის-აგვისტოში და თბილისში სექტემბერ-ოქტომბერში. დამუშავებისას კითხვართა რიცხვი შევამცირეთ და დავიყვანეთ 300 რესპონდენტამდე, ამოვიღეთ ის კითხვარები, რომლებშიც თუნდაც ერთი პასუხიც კი ორჭოფული გვეჩვენა.

ბუნებრივია, არ გვაქვს პრეტენზია, რომ შერჩევითი გამოკვლევის რეპრეზენტატულობა საქართველოს მთელი მოსახლეობის მიმართ (ან თუნდაც მთელი თბილისის მიმართ) დაცულია, მაგრამ, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ჯერჯერობით არც სხვა გამოკვლევებია, რომლებიც უფრო მეტი სიზუსტით ასახავდნენ შრომითი ემიგრაციის სოციალურ-ეკონომიკურ მხარეს ან შრომით ემიგრანტთა შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია მოეპოვებოდეთ.

რესპონდენტები ყოველთვის როდი თანხმდებოდნენ ხალისით ინტერვიუს მოცემას, საჭირო იყო ბეჯითი ახსნა-განმარტების ჩატარება, რათა მათ, შეძლებისამებრ, ზუსტად დაესახელებინათ ზოგიერთი მონაცემი, მაგალითად, ისეთი როგორიცაა ემიგრანტთაგან ფულადი გზავნილების ოდენობა, იქ გამომუშავებული თანხა, ან გამოგზავნის ორგანიზაცია. ინტერვიუს ბოლოს კი ისინი ნამდვილად გულახდილნი იყვნენ, რადგან რწმუნდებოდნენ, რომ ჩვენი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ შრომითი ემიგრაციის მეცნიერული გამოკვლევა იყო.

---

[30] ანკეტის შემუშავებაში გამოკვლევის ხელმძღვანელთან ერთად მეთოდური დახმარება გაგვიწია ბატონმა თამაზ ზუბიაშვილმა, რისთვისაც ავტორი დიდ მადლობას უხდის.

გამოკვლევის ძირითადი შედეგები

გამოკითხული 300 რესპონდენტიდან 200 თბილისიდანაა ემიგრირებული, 100 – ამბროლაურის რაიონიდან. მიგრანტთა მთლიან მასაში მამაკაცთა წილი (64,6%) გაცილებით აღემატება ქალებისას (35,4%). თბილისში ეს თანაფარდობა უფრო თანაბარ განაწილებას გამოხატავს (ქალია 46,5%), რაჭიდან კი შრომით ემიგრანტთა შორის ქალი მხოლოდ 13%-ია.

შრომითი ემიგრანტების ასაკობრივი განაწილება 21-45 წ.წ. ასაკში შედარებით თანაბარია, მაგრამ თბილისში დომინირებს 21-35 წ.წ. ასაკობრივი კონტინგენტი (60,5%), ხოლო ამბროლაურის რაიონში 31-45 წ.წ. ასაკობრივი ჯგუფი (69%).

ცხრილი №1

შრომით ემიგრანტთა განაწილება ასაკის მიხედვით
(პროცენტობით ჯამთან)

ასაკი / რეგიონი	16-დან 20 წლამდე	21-25	26-30	31-35	36-40	41-45	46-50	51-55	56-60	60-ზე <	სულ
თბილისი	6	25,5	18,5	16,5	7	13,5	7,5	4	1,5	-	100
ამბროლაურის რაიონი	3	7	12	31	17	21	6	2	1	-	100
სულ	5	19,3	16,5	21,3	10,3	16	7	3,3	1,3	-	100

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც სხვა გამოკვლევები, ისე ჩვენი გამოკვლევაც გვიჩვენებს, რომ თანდათან იზრდება ე.წ. შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებისაკენ მიმართული შრომითი ემიგრაციის მასშტაბები და წილი. თუ 90-იანი წლების პირველ ნახევარში დომინირებდა რუსეთისა და დსთ სხვა ქვეყნებისაკენ ემიგრაცია, ამჟამად რუსეთისა და თურქეთის წილი შრომით ემიგრანტთა საერთო მასაში მცირდება. მათი უმეტესობა აღარ თანხმდება ემიგრირების პირველივე ვარიანტს, არამედ უკვე ახდენს ქვეყნის შერჩევას. ეს ზრდის მათი მიგრაციის ხელსაყრელობას და, საერთოდ, შრომითი ემიგრაციის ეფექტიანობას. მაგალითად, თბილისიდან ემიგრირებულთა შორის რუსეთში წასულია მხოლოდ 34,6% და ემიგრანტთა ძირითადი მასა შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებზე მოდის. რაჭიდან კი საშოვარზე საზღვარგარეთ წასულთა 74% რუსეთში მუშაობს. ჩვენი აზრით, ამას განსაზღვრავს მიგრაციული მობილურობის სხვადასხვა ხარისხი განხილულ ორ რეგიონს შორის. რასაც, თავის მხრივ, განაპირობებს თბილისის მოსახლეობის უფრო მაღალი განათლების დონე, უცხო ენების ფლობა და მეტი ინფორმირებულობა.

შრომით ემიგრანტთა 91% ქართველია, მათ შორის რაჭიდან 100%, თბილისიდან 86,5%.

საქართველოდან შრომით ემიგრაციაში წასულთა უმეტესი ნაწილი (56,6%) დაქორწინებულია. დაქორწინებულთა წილი უფრო მეტია რაჭველ ემიგრანტებში (70%). ეს მათი ასაკობრივი შემადგენლობიდანაც გამომდინარეობს. სოფლად მცხოვრებ ემიგრანტთა უმეტესობა უკიდურესმა გაჭირვებამ და ოჯახის ფიზიკური არსებობისათვის

საშუალების ძებნამ წაიყვანა საშოვარზე. ყველაზე მეტად გვხვდება 4 (40%) და 5 (17%) წევრიანი ოჯახებიდან ემიგრირებულნი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შრომით ემიგრაციას ძირითადად ეკონომიკური მიზეზები განსაზღვრავს. 90-იანი წლების ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია მოსახლეობის ცხოვრების დონის რადიკალური გაუარესება. საკმარისია, აღინიშნოს, რომ 1990 წელს საქართველოში წარმოებული ერთობლივი შიგა პროდუქტი ერთ სულზე 2530 აშშ დოლარს უდრიდა, მაშინ, როცა 1995 წლისათვის იგი მხოლოდ 440 დოლარს უტოლდებოდა.[31] მოსახლეობის ერთ სულზე ყოველდღიურად მოხმარებული სურსათის კალორიულობა 2718 კალორიიდან 1940 კალორიამდე დაეცა.[32] დასაქმების დონემ 64,1% შეადგინა.[33] 1994 წლის სექტემბრისათვის «ერთი თვის პენსიით მხოლოდ 3 კგ. მაკარონის, ანდა 1კგ. ძროხის ხორცის, ან კიდევ ერთ კილოგრამამდე ყველის ყიდვაა შესაძლებელი».[34] საქართველოს ეკონომიკა კოლაფსის მდგომარეობაში იყო.[35] 1998 წლის IV კვარტლის მონაცემებით სიღარიბის დონემ საარსებო მინიმუმის მიმართ 45,2% შეადგინა, სიღრმემ 16,8%, სიმწვავემ 8,7%.[36]

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, რომ მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი ცდილობს, გამოსავალი სხვა ქვეყანაში საშოვარზე წასვლით მონახოს. ჩვენს მიერ შესწავლილი კონტინგენტის 35,3%-ის ემიგრირების მიზეზი სამუშაოს უქონლობაა, 11,3%-ისთვის პირდაპირ ოჯახის ფიზიკური გადარჩენა გახდა სამშობლოდან გამგზავრების მიზეზი (ცხრილი 2).

ცხრილი №2

საქართველოდან საშოვარზე წასვლის მთავარ მიზეზთა განაწილება (პროცენტობით ჯამთან)

მიზეზები / რეგიონი	სამუშაოს უქონლობა	მატერიალური პირობების გაუმჯობესება	ოჯახის ფიზიკური გადარჩენა	ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება	ცუდი საბინაო პირობები	კლიმატური პირობები	ჭორწინება	სხვა მიზეზები	სულ
თბილისი	24	44	13,5	3,5	2	–	4	9	100
ამბროლაურის რაიონი	58	25	7	–	–	–	5	5	100
სულ	35,3	37,7	11,3	2,3	1,3	–	4,3	7,8	100

მთლიანობაში დომინირებს ეკონომიკური მიზეზები. თბილისელთა საკმაოდ დიდი ნაწილი (44%) მიემგზავრება საზღვარგარეთ 'მატერიალური პირობების გაუმჯობესების» მიზნით. მათგან უმეტესობას ახალგაზრდობა წარმოადგენს, რომელიც ოჯახის ეკონომიკურ გაძლიერებასთან ერთად გეგმავს უცხო ენის ცოდნის განმტკიცებას და სპეციალური ცოდნის სრულყოფასაც. მცირე ნაწილი ემიგრირდება დაქორწინების გამო, რაც მომავალში მათი სტაციონალური მიგრაციის მიზეზიც შეიძლება გახდეს.

[31] Нищета переходного периода. Региональное бюро по странам Европы и СНГ. 1998. с.236

[32] იქვე. გვ.237.

[33] იქვე. გვ. 243.

[34] ჰუმანური განვითარების ანგარიში: საქართველო 1995. თბ., 1995. გვ.21.

[35] ჰუმანური განვითარების ანგარიში: საქართველო 1996. თბ., 1996. გვ.27-28.

[36] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 1999. თბ., 1999. გვ.75-77.

მიუხედავად ქვეყნის 90-იანი წლების არასტაბილური შიგა და გარე პოლიტიკური ვითარებისა, შრომითი ემიგრაციის მიზეზად «ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება» გამოკითხულთა მხოლოდ 2,3%-მა დააფიქსირა.

შრომითი ემიგრაციის აქტი ორგანიზაციული და ფინანსური თვალსაზრისით ცალკე პიროვნების მხრივ სხვისი აქტიური დახმარების გარეშე საკმაოდ ძნელად განსახორციელებელია. ეს დაადასტურა ჩვენმა გამოკითხვამაც. შრომით ემიგრანტთა მხოლოდ 17,6%-ია გაგზავნილი სამუშაოზე მუშახელის შემკრები ორგანიზაციების მიერ (ძირითადად რუსეთში), მათ 30,6%-ს უცხო ქვეყანაში წასვლასა და სამუშაოზე მოწყობაში დაეხმარა ნათესავი (იქ მუდმივად მცხოვრები ან ადრე წასული შრომითი ემიგრანტი), მეგობარი (19,3%), იქაური ნაცნობი (11%), წავიდა ტურისტად და იქ დარჩა (3,3%), ზოგიც ადრე იქ სწავლობდა და ჰყავდა ნაცნობ-მეგობრების წრე (4%). საქართველოდან საშოვარზე სხვა ქვეყანაში «წავიდა ბედის ანაბარა» მთელი შესწავლილი კონტინგენტის 10%. ეს საკმაოდ კარგად გამოხატავს მათ გაჭირვებას და მისგან თავის დაღწევისათვის გაწეულ უდიდესს რისკს.

არსებული გამოკვლევები, რომელიც საქართველოს მოსახლეობის შრომით ემიგრაციას ეხება, აღნიშნავენ სამუშაოდ წასული მოსახლეობის განათლების მაღალ დონეს, რაც დასტურდება ჩვენი გამოკვლევითაც (ცხრილი 3). შრომით ემიგრანტთა განათლების დონე აშკარად აღემატება საქართველოს შრომითი რესურსების ანალოგიურ მაჩვენებლებს. ის რომ მათი 46,3% უმაღლესდამთავრებულია, მათ შორის თბილისში – ნახევარზე მეტი, მიუთითებს შრომითი ემიგრანტების განსაკუთრებით მაღალ შრომით პოტენციალზე. საქართველოს შრომით რესურსებს აკლდება სპეციალისტთა დიდი მასა. აქ ვერ ხდება მათი შესაბამისი დასაქმება საქართველოს შრომის ბაზარზე დაბალი მოთხოვნის გამო, ისიც აღსანიშნავია, რომ უფრო მეტი ტერიტორიული მობილობა ახასიათებს განათლებულ კონტინგენტს (ინფორმაციისა და უცხო ენის მეტად ფლობა). ამბროლაურის რაიონიდან ემიგრანტები ჩამორჩებიან განათლების დონით თბილისელ ემიგრანტებს. თუმცა ეს განსხვავებაც, ნაწილობრივ, ამ ნაკადების ასაკობრივი სტრუქტურებითაცაა გამოწვეული.

უცხოეთში სამუშაოდ წასულთა შორის ჭარბობენ ინჟინრები (ემიგრანტთა 21%), მასწავლებლები (7,3%), ეკონომისტები (6,6%), კვალიფიციური მუშები (13,3%) და ა.შ. პროფესიის არმქონენი არ აღემატებიან მეოთხედს (ძირითადად ზოგად საშუალო სკოლა-დამთავრებულნი).

ცხრილი №3

შრომით ემიგრანტთა განაწილება განათლების დონის მიხედვით (პროცენტობით ჯამთან)

განათლების დონე / რეგიონი	აქვს განათლება							
	უმაღლესი	დაუმთავრებელი უმაღლესი, სტუდენტი	საშუალო სპეციალური	პროფტექნიკური	ზოგადი საშუალო	არასრული საშუალო	დაწყებითი	სულ
თბილისი	55	12	8	10,5	14	0,5	_	100
ამბროლაურის რაიონი	29	4	12	17	38	_	_	100
სულ	46,3	9,3	9,3	12,7	22	0,3	_	100

აღნიშნული მაღალკვალიფიციური კონტინგენტი სხვა ქვეყნებში უმთავრესად დაბალკვალიფიციურ, საკმაოდ მძიმე ფიზიკურ სამუშაოებზე დასაქმებას თუ ახერხებს. წასულთა 64,9% – სპეციალისტია, იმიგრაციის ქვეყანაში კი სპეციალობით მუშაობს მხოლოდ 15,3% (ცხრილი 4).

ცხრილი №4

შრომით ემიგრანტთა განაწილება რეციპიენტ ქვეყანაში საქმიანობის მიხედვით (პროცენტობით ჯამთან)

საქმიანობის სახეები / რეგიონი	დაბალკვალიფიციური მუშა	გამყიდველი, ოპერაციონტი	მოახლე, ძიძა	მაღალკვალიფიციური მუშა	მმღოლი	სპეციალისტი სპეციალობის მიხედვით	დროებით უმუშევარი	სულ
თბილისი	24	16,5	32	7,5	3	15,5	1,5	100
ამბროლაურის რაიონი	39	7	13	20	6	15	–	100
სულ	29	13,3	25,7	11,7	4	15,3	1	100

სავარაუდოა, რომ სხვა ქვეყნებში საშოვარზე წასულთა ახალი საქმიანობისადმი არცთუ კარგად ადაპტირების მიზეზი პროფესიისა და განათლების დონის აშკარად შეუსაბამო დასაქმებაა. მათგან მხოლოდ 30% შეეგუა კარგად ახალ სამუშაოს, გაუჭირდა შეგუება 26,6%-ს, ხოლო 8,3% კატეგორიულ უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს თავისი საქმიანობისადმი. 32,3% კი დამაკმაყოფილებლად აფასებს რეციპიენტ ქვეყანაში შრომითი ადაპტაციის პროცესს.

გამოკითხვის ფურცელში დასმულ კითხვაზე "როგორ შეეგუა იქაურ გარემოს?» პასუხების 38,6% იქაური ყოფისადმი კარგ ადაპტაციას მიანიშნებს, პასუხების 31,1% მიუთითებს, რომ ძლიერ გაუჭირდათ ოჯახის, ნათესავებისა და აქაური მეგობრების გარეშე, 12,9% განიცდის სამშობლოსადმი განსაკუთრებულ ნოსტალგიას, 7,8% – ვერა და ვერ ეგუება იქაურ ტრადიციებს, ხოლო 5,9% – კლიმატს. მათგან ვინც კარგად შეეგუა იქაურ ყოფას, საკმაო ნაწილი ოჯახის სხვა წევრებთან ერთადაა წასული, რაც, ნაწილობრივ, მათთვის შვების მომგვრელია.

იმიგრაციის ქვეყანაში საერთო ყოფას თავისებურად ამძიმებს არცთუ ხელსაყრელი საბინაო პირობები. უმცირეს ნაწილს აქვს ადგილზე შეძენილი საკუთარი ბინა (6,3%), დანარჩენი – შეკედლებულია ნათესავთან (7,3%), ცხოვრობს საერთო საცხოვრებელში (13,6%), დაქირავებული აქვს ცალკე ბინა (35,6%) ან მეგობრებთან ერთად (20,6%). აღსანიშნავია, რომ მიგრანტთა თითქმის მეხუთედი ცხოვრობს თავისი მუშაობის ადგილზე (ძიძა, მოახლე).

შრომითი ემიგრანტები ცდილობენ ოჯახის ზოგიერთი წევრის გადაყვანას თავისთან სამუშაოდ. გამოკითხული ოჯახებიდან ახლობელთა 10,3% აპირებს მათთან შრომით ემიგრაციაში წასვლას, ხოლო 19,6% ყოყმანობს და ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია შრომითი ემიგრაციის აქტის განხორციელება, თუ კი ამისი პირობები შეიქმნება. გამოკითხულთა 62,3%-ს კი მყარად აქვს გადაწყვეტილი, არ გაემგზავროს შრომით ემიგრაციაში.

ამრიგად, შრომით ემიგრანტთა შრომითი და ყოფითი ადაპტაციის პროცესი საკმაოდ რთულად მიმდინარეობს, აშკარად შეინიშნება იძულებითი გარემოებებით გამოწვეული ემიგრაციული ვითარება, რაც შრომით ემიგრანტთა სხვა ქვეყანაში სამუდამოდ დარჩენის ნაკლებ შესაძლებლობას ქმნის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შრომითი ემიგრაციის ძირითადი მიზეზი ეკონომიკური გაჭირვებიდან თავის დაღწევა და ცხოვრების მინიმალური პირობების შექმნაა. ამავე დროს, შრომით ემიგრაციაში მონაწილეობენ არამარტო ეკონომიკურად ყველაზე გაჭირვებული ოჯახები. აქ წარმოდგენილია მცირე ნაწილი ისეთი ოჯახებისა, რომელთა შემოსავალი აღემატება საარსებო მინიმუმს (რესპონდენტთა 5,4%). ეს უკანასკნელი ძირითადად სტუდენტობაა, რომლებსაც აქ შედარებით შეძლებული ოჯახები აქვთ, მაგრამ იქ სწავლასთან ერთად მუშაობენ და საჭიროების შემთხვევაში გზავნიან ფულად დანაზოგებსაც.

ემიგრანტთა აქ დარჩენილი ოჯახების წევრების მესამედს (33,2%) საერთოდ არ გააჩნია არავითარი შემოსავალი და ოჯახი ფინანსურად მთლიანად დამოკიდებულია საშოვარზე წასული წევრის ფულად გზავნილებზე. უმეტესი ნაწილის შემოსავალი კი ბევრად ჩამორჩება საარსებო მინიმუმს. განსაკუთრებით ეს კარგად ჩანს ამბროლაურის რაიონიდან ემიგრირებულ პირთა ოჯახებში, რომელთა 45,2%-ს აქ ფაქტიურად არავითარი შემოსავალი არა აქვთ, ხოლო მათი 34,4%-ის ოჯახის მთლიანი შემოსავალი თვიურად 25 ლარს არ აღემატება.

შრომითი ემიგრანტები საკმაოდ მაღალ ანაზღაურებას იღებენ თავიანთი შრომისათვის, რასაკვირველია, ჩვენს ქვეყანაში არსებულ ხელფასთან შედარებით (ცხრილი 5).

ცხრილი №5.

შრომით ემიგრანტთა განაწილება შემოსავლების მიხედვით დოლარებში (პროცენტობით ჯამთან)

თანხა აშშ დოლარებში / გამოკვლეული რეგიონი	100-150	151-250	251-500	501-750	750-1000	1000-1500	1500-2000	2000-ზე მეტი	დროებით უმუშევარი	სულ
თბილისი	1,5	6	28	10,5	22	15,5	8	7	1,5	100
ამბროლაურის რაიონი	–	10	54	16	13	3	1	3	–	100
სულ	1	7,3	36,6	12,3	19	11,3	5,6	5,6	1	100

აშკარად ჩანს, რომ თბილისიდან წასულთა შემოსავალი უფრო მეტია, რადგან ისინი ეკონომიკურად უფრო განვითარებულ ქვეყნებში არიან ემიგრირებულნი, ვიდრე რაჭიდან საშოვარზე წასულნი. ამბროლაურის რაიონიდან შრომით ემიგრანტთა 64%-ის შემოსავალი 500 აშშ დოლარს არ აღემატება, მაშინ როცა 500 დოლარზე მეტი შემოსავალი აქვს თბილისელ ემიგრანტთა 64,5%-ს.

საშუალოდ ერთი შრომითი ემიგრანტის შემოსავალი თვიურად 847,2 აშშ დოლარს უტოლდება (ცხრილი 6).

ცხრილი №6

შრომითი ემიგრანტის საშუალო თვიური შემოსავალი (აშშ დოლარში)

კვლევის კონტინგენტი / შემოსავალი	თბილისიდან ემიგრირებულნი	ამბროლაურის რაიონიდან ემიგრირებულნი	საშუალოდ
შემოსავალი სულ	963,75	614	847,2
უგზავნის ოჯახს	212,25	173,15	199,2
ეხარჯება ადგილზე ან აგროვებს ჩამოსატანად	751,5	440,9	648

როგორც ვხედავთ, საშოვარზე წასულთა თვიური შემოსავალი აქაურთან შედარებით რამდენჯერმე მაღალია, თუმცა დასავლეთის ქვეყნებში ცხოვრების სიძვირის, ბინის ქირის თუ სხვა საჭიროებათა გამო მიღებული გასამრჯელოს ძირითადი ნაწილი მათ ადგილზე ეხარჯებათ. ისინი, საშუალოდ, ახერხებენ თავიანთი შემოსავლის მხოლოდ 23,5% გამოუგზავნონ თავიანთ ოჯახებს, დანარჩენი 76,5% კი ადგილზე დახარჯონ (ნაწილი ჩამოსატანადაც აგროვებს თანხას).

უნდა შევნიშნოთ, რომ სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით შეიმჩნევა საგრძნობი დიფერენციაცია როგორც შემოსავლის, ისე გზავნილების მიხედვით (ცხრილი 7).

ფულადი გზავნილები პროპორციულად მეტია იმ ქვეყნებიდან, სადაც შრომით ემიგრანტებს ყველაზე მეტი გამომუშავება აქვთ. ქვეყნების მიხედვით იგი ვარირებს 97-308 დოლარის დიაპაზონში. აშკარად დიდია შემოსავალიცა და გზავნილებიც აშშ-დან, თუმცა ადგილზე დანახარჯებიც აშშ-ში მყოფ ემიგრანტებს გაცილებით მეტი აქვთ, ვიდრე სხვა ქვეყანაში. მეტად საინტერესო უნდა იყოს გზავნილების საერთო ოდენობის შეფასება, რომელსაც საქართველოს მოსახლეობა იღებს წლიურად შრომითი ემიგრანტებისაგან ოჯახებისა და ახლობლების დახმარების სახით.

ცხრილი №7.

ერთი შრომითი ემიგრანტის თვიური შემოსავლის, გზავნილისა და ადგილობრივი დანახარჯის რაოდენობა ქვეყნების მიხედვით (აშშ დოლარი)

გამოკვლევის რეგიონი / რესპოდენტი ქვეყნები		რუსეთი	აშშ	გერმანია	საბერძნეთი	ისრაელი	დანარჩენი ქვეყნები	სულ
თბილისიდან ემიგრირებულნი	თვიური შემოსავალი	575	1497	708,3	937,2	937,2	920	963,75
	ადგილზე მოიხმარს	420	1186	548,6	670,5	670,5	827,3	751,5
	გზავნის თბილისში	155	310,9	159,7	266,7	266,7	93	212,25
ამბროლაურის რაიონიდან ემიგრირებულნი	თვიური შემოსავალი	594,6	1233	700	566	700	600	614
	ადგილზე მოიხმარს	427,5	975	587,5	360,4	200	490,6	440,9
	გზავნის რაჭაში	167	258	112,5	206,3	500	109,4	173,2
საშუალოდ	თვიური შემოსავალი	589	1482,4	708	850	800	840,6	847,2
	ადგილზე მოიხმარს	425,3	1174,4	550,2	597,5	561,1	743,6	648
	გზავნის საქართველოში	163	308	157,8	252,5	240	97	199,2

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოდან შრომით ემიგრაციაში წასული მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ ექსპერტთა განსხვავებული ვარაუდებია. პროფესორ რ. გაჩეჩილაძის აზრით, «ყველაზე ფრთხილი შეფასებით», საქართველოს ფარგლებს

გარეთ იმყოფება 250-280 ათასი შრომითი ემიგრანტი. რასაკვირველია, ეს მონაცემი სავარაუდო გაანგარიშებებს ეყრდნობა და გადაჭრით მტკიცებას არც ავტორი მიუთითებს. თუ ჩავთვლით, რომ ჩვენი გამოკვლევით მიღებული ერთი ემიგრანტის თვიური გზავნილი საქართველოში – 199,2 დოლარი რაღაც ალბათობით შეიძლება გავავრცელოთ საქართველოს მთელ მოსახლეობაზე, მაშინ გამოვა, რომ წლიურად საქართველოში სხვადასხვა არხებით შრომითი ემიგრანტებისაგან შემოდის 600-670 მლნ. დოლარი, ადგილზე კი მათ წლიურად ეხარჯებათ ან, ნაწილობრივ, ჩამოსატანად აგროვებენ 1940-2180 მლნ. დოლარს. როგორც ცნობილია, წლების მანძილზე არსებობს დიდი განსხვავება ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობაში ექსპორტსა და იმპორტს შორის. თანაც ეს თანაფარდობა თანდათან უარესდება. 1998 წელს იმპორტმა 4,6-ჯერ გადააჭარბა ექსპორტს, სხვაობამ 691984 ათასი აშშ დოლარი შეადგინა.[37] სავსებით რეალურია, რომ იმპორტის წყაროა ის ფულადი გზავნილები, რომლებიც საქართველოში შემოდის სამუშაო ძალის ექსპორტის საფასურად, ე.ი. თითქმის იფარება საგარეო სავაჭრო დეფიციტი.

თ. გუგუშვილის გაანგარიშებით, შრომითი ემიგრაციისაგან საქართველოში შემოდის წლიურად 720 მლნ. დოლარი,[38] ხოლო რ. გაჩეჩილაძის გაანგარიშებით, მინიმუმ 400 მლნ. დოლარი.[39] იმასაც აღვნიშნავთ, რომ თ. გუგუშვილი ეყრდნობა მსოფლიოში შრომით ემიგრანტთა გზავნილების საშუალო სიდიდეს, ხოლო ჩვენი გაანგარიშება მიღებულია საქართველოში 300 შრომითი ემიგრანტის გზავნილების მასალის ანალიზით. ასეა თუ ისე, ამ გამოკვლევითაც დასტურდება სხვადასხვა ავტორთა ვარაუდი საქართველოში ასეულ მილიონობით დოლარის შემოსვლის თაობაზე, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მოსახლეობის საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

მეორე მხრივ, ვგრძნობთ ჩვენი გამოკვლევის არცთუ მაღალ რეპრეზენტატულობას, 300 ინტერვიუ – გამოკითხვა, თანაც ანამნესტიკური მეთოდით შესრულებული, რომელიც ფაქტობრივად მოიცავს საქართველოს მხოლოდ ორ რეგიონს (თბილისი და რაჭა – ლეჩხუმ – ქვემო სვანეთის მხარე), ჯერ კიდევ არაა საკმარისი სრულიად საქართველოს შესახებ მაღალი რეპრეზენტატულობის ინფორმაციის მისაღებად. გამოკვლევით ყველა რეგიონის მოცვა კიდევ უფრო დააზუსტებდა მიღებულ ციფრებს, მაგრამ უფრო მეტი სანდოობით მოპოვებული უკეთესი მასალა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ჯერჯერობით არ არსებობს, ამიტომ სამუშაო ძალის ექსპორტით შემოსული თანხა – 600-670 მლნ. რეალურთან ახლოს უნდა იყოს. თუ საშუალება მოგვეცა კვლევის მასშტაბის გაზრდისა, აღნიშნული ციფრი, ალბათ, კორექტირდება, მაგრამ არსებითად არ შეიცვლება.

ცალკე უნდა გამოვყოთ ქალთა შრომითი ემიგრაციის ზოგიერთი თავისებურება. ქალების საშოვარზე სიარული ბოლო დრომდე საქართველოში საზოგადოებრივი აზრისათვის სრულიად მიუღებელი იყო. ათიოდე წლის წინ ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ დღეს შრომით ემიგრაციაში ქალების წილი 35,3% იქნებოდა. ეს, ჯერ ერთი, განაპირობა უკიდურესმა ეკონომიკურმა გაჭირვებამ, ხოლო, მეორე მხრივ, საერთაშორისო ბაზარზე სამუშაო ძალის მოთხოვნის სპეციფიკამ (მოახლეებსა და ძიძებზე მოთხოვნა). გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ საშოვარზე წასულ ქალთა ორი მესამედი (66%) მუშაობს მოახლედ ან ძიძად, 12,3% – გამყიდველი ან ოფიციანტია, მხოლოდ მცირე

[37] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 1999. თბ., 1999. გვ.246.

[38] თ. გუგუშვილი. საქართველოს გარე მიგრაციულ – დემოგრაფიული პრობლემები. თბ., 1998. გვ.128.

[39] რ. გაჩეჩილაძე. მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ – ეკონომიკური შედეგები. თბ., 1998. გვ.60.

ნაწილია თავისი სპეციალობით მომუშავე (10,4%), მაშინ როცა სამუშაოდ წასული კონტინგენტის ნახევარზე მეტი (53,8%) სპეციალისტია.

საშოვარზე წასულ ქალთა ნახევარზე მეტი ოჯახიანია, მხოლოდ 42,6%-ია დაუქორწინებელი. ისინი ხანრგძლივად არიან მოწყვეტილი ოჯახს, შვილებს, მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც იძულებულნი არიან, წლობით დატოვონ მცირეწლოვანი ბავშვებიც კი თავიანთ მშობლებთან ან და-ძმებთან და უცხო ქვეყანაში ძიძად დაუდგნენ სხვის ბავშვებს, რაც, თავისთავად, ტრაგიკული მოვლენაა. როგორც მრავალი ინტერვიუდან გაირკვა, ძიძად მუშაობის "უპირატესობა» ისიცაა, რომ იქ ბინის პრობლემა წყდება და ქირას არ იხდიან, რაც ბევრ ქვეყანაში საკმაოდ დიდ თანხას წარმოადგენს. მითუმეტეს, რომ ქალთა დიდი ნაწილი (85,8%) აშშ, საბერძნეთსა და გერმანიაშია ემიგრირებული, სადაც ბინის დაქირავება ძვირია. ოჯახთან ხშირი კონტაქტი (წელიწადში რამდენჯერმე ჩამოსვლა) აქვს ქალთა მხოლოდ 2,8%-ს.

აღსანიშნავია, რომ ქალთა 70,8%-ის ახლობლების პასუხების მიხედვით, ისინი აუცილებლად დაბრუნდებიან სამშობლოში სამუშაოდ და საცხოვრებლად, 25,5%-ს ამის შესახებ ზუსტი პასუხი არა აქვს, მხოლოდ 3,8% (უმთავრესად არაქართველი ეროვნების ქალები) არავითარ შემთხვევაში აღარ დაბრუნდება საქართველოში. არცთუ ცოტა შემთხვევაა დროებით წასული ქართველი ქალის უცხოელზე გათხოვებისა. შემდგომ ისინი თავისებურ საყრდენს ქმნიან საქართველოდან ნათესავებისა და მეგობრების მისაზიდად და დასასაქმებლად.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ერთი დეტალიც, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიქცია. გამოკითხვის მიხედვით ემიგრანტი ქალების საშუალო თვიური შემოსავალია 893,7 აშშ დოლარი. ე.ი. 50,1 დოლარით მეტი, საერთოდ, ემიგრანტის საშუალო გამომუშავებაზე; ისინი თავიანთ ოჯახებს ეხმარებიან უფრო მეტად, ვიდრე მამაკაცი ემიგრანტები, თვიურად საშუალოდ უგზავნიან ოჯახს 258,7 დოლარს, თავიანთ გამომუშავების 28,9%-ს, ხოლო ადგილზე ხარჯავენ მამაკაცებთან შედარებით ნაკლებ თანხას.

საერთოდ კი, უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხვისას აშკარად იგრძნობოდა, რომ ოჯახები განსაკუთრებით მძიმედ განიცდიან ქალების საზღვარგარეთ მუშაობას. აქ უფრო მეტად ჩანდა ოჯახისათვის შრომითი ემიგრაციის განსაკუთრებული ეკონომიკური მნიშვნელობა.

დასასრულ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის პირობები, რომელიც შრომით ემიგრანტთა ოჯახის წევრებს მიაჩნიათ უცხოეთში საშოვარზე წასული წევრების სამშობლოში დასაბრუნებლად. გამოკითხულები ერთდროულად ორ-სამ პირობას ასახელებენ, ამიტომ განაწილება მოვახდინეთ პასუხების მთლიანი რაოდენობის მიხედვით (ცხრილი 8).

როგორც ადრე აღვნიშნეთ, გამოკვლეული ოჯახების დიდი უმრავლესობა, განსაკუთრებით ქართველები, თვლიან, რომ მათი ოჯახის წევრი ადრე თუ გვიან აუცილებლად დაბრუნდება სამშობლოში, მაგრამ შედარებით მოკლე ვადაში მათ დაბრუნებას განსაზღვრავს ის პირობები, რომელიც საკმაოდ ფართო სპექტრისაა (ცხრილი 8).

ცხადია, წამოყენებული პირობების ერთი დაკვრით შესრულება ვერ მოხერხდება, მაგრამ არც ისეთი პრეტენზიებია, რომლის დაკმაყოფილება მეტნაკლებად ახლო პერსპექტივაში შეუძლებელი იყოს. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შრომითი ემიგრაციის ინტენსივობა საქართველოში შესუსტდება.

ალბათ, უფრო ხანგრძლივად დარჩება ისეთი ემიგრაცია, როცა ხდება საზღვარგარეთ სამუშაო ძალის გასვლა მათი შრომითი უნარის შესაბამისი დასაქმებით. შრომითი

ემიგრაციის ეფექტიანობა თანდათან გაიზრდება და გამოირიცხება უცხო ქვეყანაში აშკარად დისკრიმინაციული შრომის ანაზღაურება და ყოფა.

ცხრილი №8

პასუხების განაწილება სამშობლოში დაბრუნების პირობების მიხედვით

გამოკვლეული რეგიონი / პასუხები	თბილისი	ამბროლაურის რაიონი	სულ
თუ იშოვის ნებისმიერ სამუშაოს	6	18,3	10,4
თუ აქ ოჯახის წევრები იშოვიან ნორმალურ სამუშაოს	12,3	8,4	10,8
თუ იშოვის სამუშაოს ისეთივე ანაზღაურებით, როგორც ამჟამად აქვს	16,4	14,4	15,7
დაბრუნდება ამჟამინდელთან შედარებით დაბალი ანაზღაურების შემთხვევაშიც	11,4	27,6	20,1
თუ იმდენ თანხას დააგროვებს, რომ აქ რაიმე ბიზნესში ჩაებას	19,9	14,4	18
აქ თუ შეიქმნება სტაბილური საწარმოო შრომითი ვითარება	11	3,4	8,4
თუ მოწესრიგდება საგადასახადო, საბაჟო და წარმოების პირობები	2,5	1,1	2
უფრო სტაბილური გახდება პოლიტიკურ-სოციალური გარემო	7,3	0,6	4,9
რადიკალურად თუ შემცირდება კორუფცია	2,5	0,6	1,8
არავითარ პირობებში არ აპირებს უკან დაბრუნებას	4,7	10,9	3,9
სხვა პასუხი	5,6	0,6	3,9
სულ	100	100	100

Трудовая эмиграция населения Грузии
(резюме)

После распада Советского Союза в условиях политического и экономического кризиса 90-х годов в Грузии интенсивность трудовой эмиграции и ее влияние на социально-экономическое развитие резко возросли. Из-за сложности и значительной трудоемкости осуществленные в этом направлении научные исследования не соответствует значению явления и требует дальнейшего расширения и совершенствования.

Разработанная нами с целью изучения трудовой эмиграции программа исследования предусматривала получение информации о трудовых эмигрантах путем опроса членов их семей и других близких родственников, которые были информированы относительно их деятельности и быта, могли ответить на 26 вопросов составленной анкеты, а также сообщить дополнительную информацию в виде интервью. Было опрошено более 300 респондентов в Тбилиси (Глданском, Надзаладевском, Сабурталском, Вакинском и Самгорском районах) и Амбролаурском районе (в райцентре и 18 селах).

Материалы исследования выявили тенденцию, что в потоке трудовых эмигрантов снижается доля выезжающих в Россию и Турцию, однако постепенно возрастают потоки, направляемые в развитые страны. Эмигрировавшие из Рачи главным образом отправляются в Россию (74%), большинство выезжающих из Тбилиси ориентировано на развитые страны (Германию, США, Грецию, Израиль и т. д.).

Выезд на работу за пределы Грузии обусловлен экономической причиной и в значительной степени вызван безработицей. 35,5% опрошенных причиной выезда назвали безработицу, 11,3% - физическое выживание семьи, 37,6% - трудовых эмигрантов выбыло из страны с целью существенного улучшения материальных условий. Весьма незначительна эмиграция по политическим мотивам (2,3%).

Исследование показало, что из Грузии выезжает высококвалифицированная рабочая сила. 64,9% эмигрантов - специалисты, 46,3% - с высшим образованием. Они в странах - реципиентах заняты на малоквалифицированной работе, лишь 15% - работают по специальности, 29% - малоквалифицированные рабочие, 24,6% - служанки (няни), 13,3% - продавцы и официанты, 11,6% - мастера, а 4% - водители. Таким образом, происходит интенсивный отток человеческого капитала и при поставке рабочей силы на внешний рынок происходит процесс ее деквалификации.

Трудовая эмиграция связана с обострением социальных проблем. Эмигрантам трудно на продолжительное время покидать родину, семью и близких (42% мигрантов), приспособиться к климату (6,3%). Жилищные условия эмигрантов также ухудшены, 56,2% - из них снимают отдельную квартиру или проживают вместе с друзьями, 13,6% - живут в общежитии. Лишь незначительная часть (6,3%) приобрела квартиру на месте. Более трети было трудно приспособиться к новой деятельности. Многие из них из-за больших затрат на поездку и нелегального пребывания в странах – реципиентах на продолжительное время оторваны от семьи и детей.

Материалы исследования свидетельствуют, что трудовая эмиграция главным образом ставит целью преодоление бедности семьи, возможнее накопление небольшого капитала и в конечном счете возвращение на родину. Только 3,9% трудовых эмигрантов не собираются вернуться в Грузию, остальные в случае создания условий нормальной занятости обязательно возвратятся на работу в свою страну.

Трудовые эмигранты оказывают помощь членам семьи и близким родственникам денежными переводами: отдают предпочтение денежным переводам по почте (57,7% ответов), передают через знакомых (35,2%), периодически привозят (13,1%). Помощь семьям помесячно составляет 199,2 доллара США. Она различна в зависимости от стран и колеблется в пределах 97-308 долларов, что равняется приблизительно четверти (23,5%) заработанной на месте суммы. По самым “осторожным” оценкам исследователей, численность трудовых эмигрантов достигает 250-280 тысяч человек (Р.

Гачечиладзе, 1997). Следовательно, в Грузию членам семьи они в год присылают 600-670 миллионов долларов, а на месте затрачивают и частично копят для привоза 1940-2180 миллионов долларов.

Таким образом, трудовая эмиграция, несмотря на вызванные ею острые социальные проблемы, имеет большое значение для социальной защиты населения в критической ситуации и социально-экономического развития страны. Предположительно по мере начала экономического подъема ее интенсивность снизится, экспорт же рабочей силы станет более эффективным.

გამოყენებული ლიტერატურა

ანხელ მარია დე ლერა. მიწის ძახილი. «მერანი». 1983.

გაჩეჩილაძე რ. მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. თბ., 1997.

გუგუშვილი თ. საქართველოს გარე მიგრაციულ-დემოგრაფიული პრობლემები. თბ., 1998.

ზუბიაშვილი თ. მსოფლიო მოსახლეობა და მისი მომავალი. თბ., 1997.

ზუბიაშვილი თ. თანამედროვე საერთაშორისო მიგრაცია. თბ., თსუ. 1999.

კახნიაშვილი ჯ. მაკროეკონომიკა II ნაწ. თბ., "სიახლე". 1997.

მელაძე გ. წულაძე გ. საქართველოს მოსახლეობა და დემოგრაფიული პროცესები. თბ., 1997.

მიგრაციის სტატისტიკა. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. ევროგაერთიანების სტატისტიკური სამსახური. თბ., 1999.

მომხმარებელთა ქცევის ბარომეტრი. საქართველოს მოსახლეობის სამომხმარებლო ქცევის ანალიზი (1998-99 წ.წ.). საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბ. 1999.

საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 1999. თბ. 1999.

სივსივაძე ზ. ქართველები გერმანელ პოლიციას აგიჟებენ – ინკოგნიტო. //ალია. ¹25 (824). 2000.

საღარეიშვილი ო. დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში. //მაკრო-მიკრო ეკონომიკა. 1998. №6.

ტუხაშვილი მ. საქართველოს შრომითი პოტენციალი. თბ. 1998.

ტუხაშვილი მ. საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია. თბ. 1995.

ფირცხალავა გ. საქართველოს მოსახლეობა: ეროვნული შემადგენლობა, ოჯახები, მიგრაცია. თბ. 1997.

ქალი და კაცი საქართველოში. სტატისტიკური კრებული. თბ. 1999.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი 4. გვ.42-43.

ღამბაშიძე თ. გარე მიგრაციის ახალი ტენდენციები. //დემოგრაფია. 1999. №1.

ყარაშვილი ჰ. უმუშევრობა და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები საქართველოში. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბ., 2000.

ჩიქავა ლ. კრიტიკული დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოში: არსი, მიზეზები, დაძლევის გზები. თბ., «მეცნიერება». 1995. 32გვ.

ცარციძე მ. ლაცაბიძე ნ. სამუშაო ძალის ბაზარი და ხელფასის ორგანიზაციის მექანიზმი. თბ. "ნიკე". 1996. 200გვ.

ჭიპაშვილი მ. თბილისის მოსახლეობის მიგრაცია. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბ. 1999.

ხმალაძე მ. წულაძე გ. რამდენი ვიყავით, რამდენი ვართ. //საქართველო. 1996. №10.

ჯგერენაია ე. 1999 წლის ექსპორტ-იმპორტის ბალანსი და საბიუჯეტო შემოსავლების პრობლემები. //მაკრო-მიკრო ეკონომიკა. 2000. №1.

ჰუმანური განვითარების ანგარიში: საქართველო 1996. თბ. 1996.

Аргументы и факты. №21. 1998.

Денисенко М.Б., Ионцев В.А., Хорев Б.С. Миграциология. М., МГУ. 1989.

Иванова Т. Иммиграция в Россию из-за пределов бывшего СССР. М., 1997. с.21.

Лебедева Л.Ф. Кого ждут в Америке? //Миграция. 1997, №4. с.22.

Нищета переходного периода. Региональное Бюро по Странам Европы и СНГ. 1998. с.236

Пивоворов Ю.Л. Восток-Запад: Новые горизонты. Ж. Миграция. М., 1997, №3. с.34-35.

Трудовой мир. Издание МОТ. 1995. №2. с.2

Ушкалов И.Г., Ионцев С.И. Эмиграция. Взгляд с Востока и Запада. М., Знание. 1991. с.5

International Migration Today. UNESCO. 1998 volume 2.

World Population. United Nations Population Fund. 1997.

Migration und Flucht. Steffen Angenendt. (Hrsg). Bundeszentrale fur politische Bildung. 1996.

სარჩევი

რედაქტორის წინასიტყვაობა;

შრომითი ემიგრაცია – გლობალური მოვლენა;

არსებული სტატისტიკა და გამოკვლევები;

გამოკვლევის ორგანიზაციის შესახებ;

გამოკვლევის ძირითადი შედეგები;

რეზიუმე (რუსულ ენაზე);

გამოყენებული ლიტერატურა.

Челидзе Натия Юрьевна

Трудовая эмиграция населения Грузии

(На грузинском языке)

Издательство "Цоднис цкаро"

Тбилиси 2000